ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ნიკოლოზ კახეთელიძის ანგარიში 2022 წლის 1-ელი ნოემბრიდან 2023 წლის 1-ელ ნოემბრამდე გაწეული მუშაობის შესახებ

(01.11.2022 - 01.11.2023)

თბილისი
2023

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი ნიკოლოზ კახეთელიძე:

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მეშვიდე მოწვევის საკრებულოს წევრი
- ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის თავმჯდომარე
- ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის კომისიის წევრი
- ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია "ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო"-ს წევრი
- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საქმიანობაში მონაწილეობა
- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს" წევრი

❖ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის თავმჯდომარის საქმიანობა

2022 წლის 1-ელი ნოემბრიდან 2023 წლის 1-ელ ნოემბრამდე, საქართველოს კანონმდებლობით, საკრებულოს რეგლამენტითა და „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 21 ივლისის №3-7 დადგენილებით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში განხორციელდა **შემდეგი სამუშაოები**:

➢ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის სხდომები, განხილული საკითხები და მიღებული გადაწყვეტილებები

საანგარიშო პერიოდში (01.11.2022წ. - 01.11.2023წ.) გაიმართა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის 18 სხდომა.

კომისიის 18 სხდომაზე განხილულ იქნა 108 საკითხი. მათ შორის, განხილული და შესაბამისი გადაწყვეტილება იქნა მიღებული შემდეგ საკითხებზე:

- ✓ „„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის №4-7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;
- ✓ „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტები (სულ: 92 დადგენილების პროექტით წარმოდგენილ იქნა ფუნქციური ზონის ცვლილების 372 წინადადება).

  კომისიის გადაწყვეტილებით, ის წინადადებები, რომლებიც არგუმენტირებული დასაბუთების და/ან სათანადო დოკუმენტაციის გარეშე იქნა წარმოდგენილი, უარყოფითად შეფასდა ან/და დამატებითი შესწავლის მიზნით მათი განხილვა გადაიდო. ფუნქციური ზონების ცვლილებების (მათ შორის, კომისიის მიერ დამატებითი შესწავლის მიზნით გადადებული ან უარყოფითად შეფასებული განცხადებების) თაობაზე მიღებული გადაწყვეტილებები, შესაბამისი სამართლებრივი დასკვნების საფუძველზე, ეცნობა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს.

- ✓ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (სულ: 2 პროექტი);

წლიური ანგარიში

- „განსაკუთრებული რეგულირების სარეკრეაციო ზონის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;
- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 დეკემბრის №19-118 დადგენილებში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (სულ: 4 პროექტი);
- „„მერების შეთანხმება კლიმატისა და ენერგეტიკისთვის“ ინიციატივის ფარგლებში ახალი შეთანხმების ხელმოწერაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;
- სსიპ - ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს მიერ 2022 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიში;
- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს წესდების (დებულების) დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-56 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;
- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სასმელი წყლის რეზერვუარის (თბილისის წყალსაცავის) სანიტარიული დაცვის ზონის დადგენისა და მართვის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის 1-ელი ოქტომბრის №64-103 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (სულ: 2 პროექტი);
- „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებლის შემოღების, გადახდის ინსტრუქციისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ნარჩენების განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-46 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;

- „„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მსხვილფეხა ან/და წვრილფეხა პირუტყვის ყოფნის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-93 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მსხვილფეხა ან/და წვრილფეხა პირუტყვის ყოფნის წესში განხორციელდა ცვლილება სისტემური და ეფექტიანი მმართველობის უზრუნველყოფის მიზნით, რაც გამოწვეული იყო ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მსხვილფეხა ან/და წვრილფეხა პირუტყვის ყოფნის ზონების ცვლილების საჭიროებით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გაიზარდა მსხვილფეხა ან/და წვრილფეხა პირუტყვის ყოფნის აკრძალვის ფართობი.

- ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის №10-11 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი

საანგარიშო პერიოდში (**2022 წლის 1-ელი ნოემბრიდან - 2023 წლის 1-ელი ნოემბერი**), კომისიის კომპეტენციას მიკუთვნებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების პროექტების განხილვის შემდეგ მომზადდა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წარედგინა 107 სამართლებრივი დასკვნა.

➢ კომისიის სხდომის ფორმატში:

✓ ***მოსმენილ იქნა:*** ქალაქ თბილისის მერიის სსიპ - ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს მიერ 2022 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიში.

ანგარიშის მოსმენას, გარდა საკრებულოსა და კომისიის წევრებისა, დაესწრნენ ცხოველთა უფლებების დამცველი ორგანიზაციის წარმომადგენლები და ცხოველთა მოყვარულებიც.

ანგარიშის მოსმენისას მთავარი აქცენტები გაკეთდა შინაური ცხოველების პოპულაციების მართვის წესისა და მასთან დაკავშირებული საკითხების, ასევე, ამ მიმართულებით არსებული გამოწვევებისა და მათი გადაწყვეტის გზების შესახებ.

სსიპ - ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს ხელმძღვანელობამ საკრებულოსა და კომისიის წევრებს, ასევე, არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებსა და ცხოველთა მოყვარულებს მიაწოდა ინფორმაცია სსიპ -ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს 2023 წლის მიზნებისა და ამოცანების შესახებ.

სამუშაო შეხვედრები:

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელ პირებთან.

- შპს „ეკოსერვის ჯგუფის“ ხელმძღვანელთან.

სამუშაო შეხვედრები:

- შპს „თბილსერვის ჯგუფის“ ხელმძღვანელ პირებთან.

- ბოტანიკური ბაღის ხელმძღვანელ პირებთან.

- თბილისის ზოოლოგიური პარკის ხელმძღვანელ პირებთან.

სამუშაო შეხვედრები:

- სსიპ ცხოველთა მონიტორინგის სამსახურის ხელმძღვანელ პირთან.

- მოსახლეობის, არასამთავრობო ორგანიზაციების და, ასევე, ადგილობრივი ორგანოების წარმომადგენლებთან დედაქალაქში ცხოველების მოვლა-პატრონობის, მათი პოპულაციების მართვისა და ასევე, უპატრონო ცხოველებთან დაკავშირებული პრობლემების თაობაზე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტი

(ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნებისა და გაუმჯობესების პრიორიტეტი (საბიუჯეტო კოდი: 03) და ცხოველთა მონიტორინგის პროგრამა (საბიუჯეტო კოდი: 09 02))

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცებამდე, სამუშაო შეხვედრების ფორმატში კომისიას ჰქონდა შეხვედრები შესაბამისი საქალაქო სამსახურებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელ პირებთან.

კომისიამ, საქალაქო სამსახურებთან და საბიუჯეტო ორგანიზაციებთან ერთად, თბილისის ბიუჯეტით განსაზღვრული ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნებისა და გაუმჯობესების პრიორიტეტის ფარგლებში, განიხილა 2023 წლისთვის დაგეგმილი პროექტები და განსახორციელებელი ღონისძიებები.

სამუშაო შეხვედრებზე დასმული საკითხები და სამსახურების საჭიროებები კომისიამ გაითვალისწინა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის თავდაპირველი ვარიანტის განხილვისას, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერსა და მთავრობას მიმართა შემდეგი წინადადებებითა და ინიციატივებით:

კომისიის მიერ წარდგენილი წინადადებები ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტთან დაკავშირებით

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტში, შესაძლებლობის ფარგლებში:

- **შენარჩუნებულ იქნას** გამწვანების ღონისძიებების დაფინანსება (კოდი: 03 01) 2022 წლის დამტკიცებული ბიუჯეტიდან **გამწვანების ღონისძიებებისათვის** გამოყოფილი ასიგნების მაჩვენებელთან (**83 931 100** ლარი) მიმართებაში.
- **თბილისის ზოოლოგიური პარკის განვითარების ხელშეწყობის ქვეპროგრამის (კოდი: 03 03 01)** დაფინანსების ფარგლებში, 2023 წლის ბიუჯეტში დამატებით გათვალისწინებული იქნას **200 000 ლარი** (თბილისის ზოოლოგიური პარკის თანამშრომელთა **სახელფასო დანამატის** გასაცემად 100 000 ლარი და **ზეგანაკვეთური სამუშაოს ასანაზღაურებლად** 100 000 ლარი).
- **ბოტანიკური ბაღის განვითარების ხელშეწყობის ქვეპროგრამის (კოდი: 03 03 02) დაფინანსების ფარგლებში, 2023 წლის ბიუჯეტში დამატებით გათვალისწინებულ იქნას** ბოტანიკური ბაღის ტერიტორიაზე არსებული საფრთხის შემცველი, სარეაბილიტაციო უბნების საინჟინრო-ტექნიკური კვლევის, ასევე, კვლევის შემდეგ, საჭირო გამაგრებითი სამუშაოებისა და აღნიშნულ უბნებზე არსებული ინფრასტრუქტურის რეკონსტრუქციისათვის საჭირო **დაფინანსება (სავარაუდო ღირებულების ოდენობა 1 020 000 ლარი).**
- **ცხოველთა მონიტორინგის ქვეპროგრამის (კოდი: 09 02)** დაფინანსების ფარგლებში, 2023 წლის ბიუჯეტში დამატებით გათვალისწინებული იქნას 150 000 ლარი (ოპერატიული ეკიპაჟისთვის დამატებით **ორი ერთეული ახალი მანქანის შესყიდვისთვის** - 100 000 ლარი და მცირე ზომის სასაწყობე შენობა-ნაგებობის მშენებლობისთვის - 50 000 ლარი).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პირველ წარდგენილ პროექტთან მიმართებაში, გარემოს დაცვის კომისიის მიერ შეთავაზებული წინადადებები **ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესების პრიორიტეტით გათვალისწინებული პროგრამების/ ქვეპროგრამებისა (03) და ასევე, ცხოველთა მონიტორინგის (09 02)** პროგრამის ასიგნებების გაზრდასთან დაკავშირებით, საერთო ჯამში, გათვალისწინებულ იქნა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტის საბოლოო ვარიანტში, რაც დადებითად შეფასდა კომისიის 2023 წლის 27 დეკემბრის სხდომაზე.

საბოლოოდ, **2023 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებულ იქნა:**

- ✓ ბოტანიკური ბაღის ტერიტორიაზე არსებული საფრთხის შემცველი, სარეაბილიტაციო უბნების საინჟინრო-ტექნიკური კვლევის, ასევე, კვლევის შემდეგ, საჭირო გამაგრებითი სამუშაოებისა და აღნიშნულ უბნებზე არსებული ინფრასტრუქტურის რეკონსტრუქციისათვის საჭირო სახსრები;
- ✓ ცხოველთა მონიტორინგისთვის ახალი მანქანების შესყიდვისა და შენობა-ნაგებობების მშენებლობისთვის საჭირო სახსრები;
- ✓ თბილისის ზოოლოგიური პარკისათვის საჭირო სახსრები.

ხოლო გამწვანების ღონისძიებების დაფინანსება ეტაპობრივად გაიზარდა და 2023 წლის ბიუჯეტის მესამე კვარტლის მდგომარეობით შეადგენს 108 514 700 (ას რვა მილიონ ხუთას თოთხმეტი ათას შვიდასი) ლარს.

➢ გამწვანება, სარეკრეაციო სივრცეები

საანგარიშო პერიოდში (01.11.2022-01.11.2023) მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ ტერიტორიებზე განხორციელდა შემდეგი გამწვანების ღონისძიებები და მოეწყო სარეკრეაციო სივრცეები:

- ✓ სანიტარიული ჭრის ფარგლებში მოსაჭრელად მოინიშნა 22276 ხმელი და ხმობადი ხე და მოიჭრა 22276 ხე, ამოღებულ იქნა 238 წინა წლებში მოჭრილი ხის კუნძი;
- ✓ ჭრები განხორციელდა თბილისის ცენტრალურ უბნებში, წყნეთის ტყეპარკსა და წყნეთის გზატკეცილზე, თბილისი-კოჯორის დამაკავშირებელ გზაზე, ოქროყანის მიმდებარედ, ვალიკო ჯუღელის გზატკეცილზე, იუნკერთა ქუჩაზე, თბილისის ზღვის მიმდებარედ, უძოს ქუჩაზე, ბერიტაშვილის ქუჩაზე, ბერძენიშვილის ქუჩის მიმდებარედ და სხვა;
- ✓ თბილისის მასშტაბით გამწვანების თარგებში შეტანილია 8964 მ3 ნოყიერი მიწა; მოჭრილ და გატანილ იქნა 15042 $მ^3$ ძველი საფარი, ასფალტის საფარი და ინერტული მასა; მოიჭრა და ერთ ნიშნულზე მოსწორდა 34880 კვ.მ. ფართობი;
- ✓ ჰიდროთესვის პრინციპით გამწვანების თარგებში დაითესა 182648 კვმ. ბალახი;
- ✓ მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ ტერიტორიებზე, სხვადასხვა მისამართებზე დაიგო 16913 კვ.მ. რულონური გაზონი;
- ✓ პარკებში, სკვერებში და ქალაქის მოედნებზე დაირგო 456525 სეზონური ყვავილი;
- ✓ ტყის გაშენების პროექტის ფარგლებში ქ. თბილისში, ნაძალადევის რაიონში, ზარაშვილის და გ. ქუთათელაძის ქუჩების მიმდებარედ 18.4 ჰა ფართობზე დაირგო 13579 ცალი სხვა და სხვა სახეობის ნერგი;
- ✓ განხორციელდა წინა წლებში დარგული მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა და გამხმარი ნერგების ჩანაცვლება ჟინვალის ქუჩის მიმდებარე ფართობზე (5.4 ჰა, 9460 ნერგი), ზ. წერეთლის მონუმენტის - „საქართველოს მატიანე“-ს მომიჯნავედ არსებულ 6.45 ჰა ფართობზე (10765 ნერგი) და ზარაშვილის და გ. ქუთათელაძის ქუჩების მიმდებარედ (18.4 ჰა, 13579 ნერგი); მოვლა-პატრონობა (მორწყვა,ჯამების მოწყობა) ჩაუტარდა სულ 33804 ნერგს;
- ✓ სანერგეში განთავსდა 84843 მცენარე;
- ✓ სარწყავი სისტემა მოეწყო 30 ობიექტზე.

✓ სარეკრეაციო სივრცეები - პარკები, სკვერები

1. კოსტანტინე გამსახურდიას სახელობის სკვერი
2. დოდო აბაშიძის სახელობის სკვერი
3. კოსტავასა და ტყვარჩელის ქუჩების კვეთაზე არსებული სკვერი
4. ივერთუბანში, ხერხეულიძეების ქუჩის მიმდებარედ არსებული სკვერი
5. ვარკეთილში, რ. ხომლელისა და გ. აბაშვილის ქუჩების მიმდებარედ
6. მზიურის პარკი, 2 ჰექტარზე მეტ დაბრუნებულ ტერიტორიაზე რეკრეაციული სივრცის მოწყობა
7. სარაჯიშვილის გამზირზე არსებული შუა ზოლი, სარაჯიშვილის სკვერი და ლიბანის სკვერი
8. მუხიანი იოსებ ნონეშვილისა და გობრონიძის კვეთაზე არსებული სკვერი
9. ვარკეთილის მე-3 მასივი საცხენისის ქუჩა №20-ის მიმდებარედ - ბათუმის კინო

✓ სარეკრეაციო სივრცეები - პარკები, სკვერები



მზიურის პარკს, კერძო საკუთრებაში არსებული 2 ჰექტარზე მეტი ტერიტორია დაუბრუნდა, რომელზეც მოეწყო თანამედროვე ტიპის სარეკრეაციო სივრცე

სარაჯიშვილის გამზირზე არსებული 2,5 კილომეტრიანი შუა ზოლის, გამწვანებული კუნძულების და სარაჯიშვილის სკვერის, ასევე, ლიბანის ქუჩაზე არსებული რეაბილიტირებული სკვერი.





ქეთევან დედოფლის გამზირზე, მეტროსადგურ „ავლაბრის“ მიმდებარედ, გამწვანებული გზაგამყოფი კუნძულები მოეწყო, 140 კვადრატულ მეტრ ფართობზე დაიგო ბალახი და 43 ძირი მწვანე ნარგავი დაირგო. ასევე, მოეწყო სარწყავი სისტემა, თარგებში მოიჭრა სტრუქტურადარღვეული ნიადაგის ფენა და შევიდა ნოყიერი მიწის ნაზავი.



ქეთევან დედოფლის გამზირზე, ავლაბრის სკვერის რეაბილიტაცია

სკვერის ტერიტორიაზე, 2575 კვადრატულ მეტრ ფართობზე, არსებული ბილიკები მოპირკეთდა ბუნებრივი ქვით, დამონტაჟდა ახალი გარე განათების ბოძები, სკამები და ურნები. ასევე, მოეწყო სარწყავი სისტემა, თარგებში მოიჭრა სტრუქტურადარღვეული ნიადაგის ფენა და ტერიტორიაზე შევიდა ახალი, ნოყიერი მიწის ნაზავი. დაირგო 527 მწვანე ნარგავი და 1 150 კვ.მ. ფართობზე დაიგო ბალახის საფარი.

- **2022 წლის 1-ელი დეკემბრიდან 2023 წლის 1-ელ ნოემბრამდე განხილული წერილები/განცხადებები**

საანგარიშო პერიოდში **კომისიაში შემოვიდა 708 განცხადება/წერილი (მათ შორის საჯარო ინფორმაციის გათხოვის შესახებ), რომელზეც კომისიამ** შესაბამისი რეაგირება განახორციელა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესის შესაბამისად.

➢ სხვა აქტივობები

- ✓ **03.11.2022 წელი** – თბილისის საკრებულოს სამგორის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატის, რევაზ სოხაძის ინიციატივით, კომპანიების „სანტე ლაქტალის ჯორჯია“, სანტე ჯი ემ თი“-სა და ურბანისტ გივი კახაბრიშვილის მხარდაჭერით გამართული გამწვანების აქცია.

- ✓ **04.04.2023 წელს** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში მიუსაფარ ცხოველთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, საგანმანათლებლო პროექტის ფარგლებში „მე დავხატავ ჩვენს სიყვარულს“ ღონისძიება გაიმართა.

თამარ მეფის სახელობის დარბაზში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მხარდაჭერით, გარემოს დაცვის კომისიისა და ა(ა)იპ “სოლიდარობის სახლის“ ინიციატივით მოწყობილ ღონისძიებაზე საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მცხოვრები მოზარდების, შშმ პირების, სოციალურად დაუცველი და დევნილი ბავშვების ნამუშევრების გამოფენა მოეწყო.

ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს საზოგადოების ცნობილმა სახეებმა, რომლებმაც საკრებულოსა და კომისიის წევრებთან ერთად, ბავშვებს სიგელები და საჩუქრები გადასცეს.

✓ 11 ივნისი 2023 წელი - სამგორის რაიონის 50 წლის იუბილე

✓ 12 ოქტომბერი 2023 წელი - სასტუმრო „რადისონ ბლუ ივერია“-ში გამართული „არქიტექტურული პრემია - 2023“-ის დაჯილდოება

„საქართველოს არქიტექტორთა ასოციაციისა“ და ჟურნალი „STYLE”-ის ეგიდით ჩატარდა კონკურსი „არქიტექტურული პრემია - 2023“. ჟიურის წევრი ნიკოლოზ კახეთელიძე.

➢ საჯარო შეხვედრები, კონფერენციები, ფორუმები

- ✓ **20 იანვარი 2023 წელი** - საქართველოს პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის თემატური მოკვლევა „დაბალემისიანი მობილობის გამოწვევები და პერსპექტივები საქართველოში“
- ✓ **11 მაისი 2023 წელი** - საქართველოს პარლამენტის თემატური მომხსენებლის ანგარიშის “სასკოლო კვების პროგრამის დანერგვა საქართველოში” პრეზენტაცია
- ✓ **30-31 მაისი 2023 წელი** - ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების მე-13 ფორუმი, სახელწოდებით: „მდგრადი განვითარება - მწვანე, ჭკვიანი, ბიზნეს-მეგობრული“.
- ✓ **6 ივნისი 2023 წელი** - საჯარო კონსულტაცია კლიმატის ცვლილების კანონის "მწვანე წიგნის" შესახებ

❖ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის კომისიის წევრი

✓ 2022 წლის 1-ელი ნოემბრიდან 2023 წლის 1-ელ ნოემბრამდე ჩატარდა ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის კომისიის 18 სხდომა, რომელზეც განხილულ იქნა 258 საკითხი.

საანგარიშო პერიოდში კომისიის სხდომებზე საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად განხილული და შესწავლილი იქნა:

- ,,დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის #39-18 დადგენილებაში განსახორციელებელი ფუნქციური ზონის 344 ცვლილების წინადადება (დადებითი 332, გადაიდო 12).

- განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალებების, განაშენიანების რეგულირების გეგმისა და განაშენიანების რეგულირების კორექტირებული გეგმების 199 პროექტი (198 დადებითი, 1 გადადებული).

- დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით გაიცა 58 პროექტი;
- ყოფილი საბინაო სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლეებისთვის და ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული კომპანიების კონკურენტული შერჩევის საფუძველზე, პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების შესახებ გაიცა 16 თანხმობა (განკარგულება);
- „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებაში შევიდა ცვლილებები (სულ: 9 დადგენილების პროექტი);
- ასევე კომისიის სხდომაზე განხილულ იქნა 17 დადგენილების სხვადასხვა პროექტი.

❖ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის - “ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“ წევრი

2022 წლის წლის 1-ელი ნოემბრიდან 2023 წლის 1-ელ ნოემბრამდე ფრაქციის სხდომაზე დასწრების რაოდენობა: - 18, განხილული საკითხების რაოდენობა: 26.

❖ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საქმიანობაში მონაწილეობა

✓ **2022 წლის 1-ელი ნოემბრიდან 2022 წლის 1-ელ ნოემბრამდე ჩატარდა:**

- საკრებულოს 15 სხდომა და განხილულ იქნა 725 ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი;
- საკრებულოს ბიუროს 19 სხდომა.

▪ **სხდომებზე დასწრების რაოდენობა**

✓ 1-ელი ნოემბერი - 31დეკემბერი 2022 წ. – 5 სხდომა;
✓ 1-ელი იანვარი - 1-ელი ნოემბერი 2023 წ. – 10 სხდომა

▪ **ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების განხილვაში მონაწილეობა**

✓ ***1-ელი ნოემბერი - 31დეკემბერი 2022 წ.***
35 დადგენილება; 126 განკარგულება.

✓ ***1-ელი იანვარი - 1-ელი ნოემბერი 2023 წ.***
70 დადგენილება; 489 განკარგულება.

❖ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს" წევრი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში გენდერულ საკითხებზე მუშაობა 2014 წლიდან დაიწყო. მუნიციპალიტეტში გენდერულ საკითხებზე სისტემური და საქართველოს პარლამენტის მიერ შექმნილ გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედ საპარლამენტო საბჭოსთან კოორდინირებული მუშაობის უზრუნველსაყოფად, 2016 წელს, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 1-ელი ნოემბრის №26-80 დადგენილებით შეიქმნა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭო (შემდგომში- საბჭო), დამტკიცდა საბჭოს დებულება, განისაზღვრა საბჭოს უფლებამოსილება და საქმიანობის წესი.

საანგარიშო პერიოდში (01.11.2022-01.11.2023წ.წ.) გაიმართა 2 სხდომა და 4 სამუშაო შეხვედრა. განხილულ იქნა 6 საკითხი; ასევე, არაერთი ღონისძიება/აქტივობა ჩატარდა.

მადლობა ყურადღებისთვის

პატივისცემით,

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი,

გარემოს დაცვის კომისიის თავმჯდომარე

ნიკოლოზ კახეთელიძე

საქართველო, თბილისი 0105,
თავისუფლების მოედანი 2
www.tbsakrebulo.gov.ge